პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

23 აგვისტო, ოთხშაბათი, 1989 წ.
№ 163 (10 082) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

იქმნება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

ჩვენც მხარს ვიჭერთ და წინადადებით შემოვდივართ...

თითოეულ ჩვენთაგანს განსაკუთრებით გვახარებს საქართველოში ეროვნული ოლიმპიური მოძრაობის ჩასახვა. გულდასმით ვკითხულობთ „ლელოში“ ყველაფერს, რაც კი ოლიმპიურ თემას ეხება. კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ჩვენს პრესაში, ტელევიზიაში სულ უფრო ხშირად ვხვდებით მასალებს ხუთი გადაჭდობილი რგოლის ემბლემით.

ამას წინათ გაზეთის ორ ნომერში წავიკითხეთ ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონთა სურვილისა და მხარდაჭერის შესახებ, რათა ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნას „ოლიმპიონიკების“ კლუბი. ჰელსინკის 1952 წლის თამაშებიდან მოყოლებული, მოპოვებული გვაქვს ოქროს 28 მედალი. ერთი სიტყვით, საქართველოში 25 ოლიმპიური ჩემპიონი გვყავს. სამწუხაროდ, ბრწყინვალე ქართველი მოჭიდავე — კლასიკოსი ავთანდილ ქორიძე, — რომის ოლიმპიადის ოქროს ლაურეატი, აღარ არის ჩვენს შორის. იქნებ ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონთა კლუბს, რომლის შექმნას ჩვენ მხურვალედ ვუჭერთ მხარს, სპორტის დამსახურებული ოსტატის ავთანდილ ქორიძის სახელი ვუწოდოთ?!.

ოლიმპიური ჩემპიონები, სპორტის დამსახურებული ოსტატები:

მზია ჯუღელი (ჰელსინკი, 1952 წელი),
რომან რურუა (მეხიკო, 1968).
შოთა ჩოჩიშვილი, ზურაბ საკანდელიძე, მიხეილ ქორქია, ვლადიმერ კრატასიუკი (ყველა — მიუნხენი 1972).

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის შექმნის საინიციატივო ჯგუფი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის იდეას და მხარს უჭერს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის იდეას და ამ საკითხის ირგვლივ კონსულტაციებს აწარმოებს საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ეროვნული ურთიერთობების კომისიის წარმომადგენლებთან.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის საინიციატივო ჯგუფში შედიან:

ვუშა სხირტლაძე
ლია ზვიადაშვილი
კოხტა ლაჭყეპიანი
გიორგი წილოსანი

ქ. თბილისი 1989 წლის 21 აგვისტო.

საქართველოს ეოკ-ის შექმნის საინიციატივო ჯგუფი იუწყება, რომ ჯგუფის მორიგი სხდომა გაიმართება დღეს, 16 საათზე თბილისის ჭადრაკის სახახლეში.

„ასე იწყებოდა“...

საქართველოს ტელევიზიის სპორტული გადაცემების მთავარი რედაქციის ერთ-ერთი საინტერესო გადაცემის გამო

ადამიანები, მოვლენები, ფაქტები...

ვისაც მაშინ „ჩვენი ეროვნული სხეულის“ (გერონტი ქიქოძის სტატიები გახლავთ) სიმართლისათვის ღვწა დაესახა მიზნად, ახლა გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვუწოდოთ წინამბრძოლნი. სწორედ მათ ჩაუყარეს საფუძველი თანამედროვე, XIX საუკუნის მიწურულს აღორძინებულ და იმ დროის კვალობაზე მომძლავრებულ ოლიმპიზმის იდეალებით გამდიდრებულ ეროვნულ სპორტულ მოძრაობას. მოძრაობას, ეროვნული დამოუკიდებლობის პერიოდში რომ აღზევდა, ჩვენში ნოყიერი ნიადაგიც დაზედა და...

მერე სხვანაირად წავიდა საქმე, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რომ

გვიხარია და ვულოცავთ ფოთელ გოგონას ევროპის ჩემპიონის წოდებას!

წარმატება აუცილებლად უნდა მივულოცოთ საქართველოს პროფკავშირების ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური წყალსათხილამურო სკოლის (დირექტორი გია გოგოლაძე) და ფოთის საწყლოსნო ბაზა „აიას“ (დირექტორი თამაზ ლაგვილავა) კოლექტივებსაც — ხათუნა ხომ მათი აღზრდილია. ეს ოქროს მედალი მათი გარჯის უშუალო ნაყოფიცაა. არადა, რა იშვიათია ჩვენში, როცა, ფაქტობრივად, ერთ ოლიმპიურ ციკლში სპეციალისტის დაგვენერგოს და ასეთი შედეგისთვისაც მიგვეღწიოს. სხვათა შორის, ევროპის ამ ჩემპიონატის

XX საუკუნის საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ათწლის წერტილი „შევარდნია“. ამიტომ იყო, რომ ასეთი ინტერესით ვუყურებთ საქართველოს ტელევიზიის მიერ მომზადებულ გადაცემას „ასე იწყებოდა“. ასაკისა და დაინტერესების კვალობაზე ბევრი რამ ჩვენთვის მეტ-ნაკლებად ცნობილი იყო, მაგრამ იმდროინდელი მოვლენებისა და ფაქტების ამსახველი ამდენი კინოკადრი, ერთ გადაცემად შეკრული, ჯერ არ გვენახა. ყველაზე მთავარი კი, ჩვენი აზრით, ის გახლავთ, რომ ეს ტელეგადაცემა უშუალოდ ეხმაურება ქართული სპორტული მოძრაობის სადღეისო გეზს — ჰეშმარიტი ოლიმპიზმი აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს სუვერენულ ეროვნულ სპორტულ ცხოვრებას.

ასეთი ტელეგადაცემები დიდ სამსახურს უწევს ჩვენს საერთო საქმეს.

მისი ყველაზე ერთ-ერთი ბიოგრაფია გამარჯვება

ხათუნა კორკელია — ევროპის ჩემპიონი!

ეს გოგონა დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჩემპიონატზე აკრედიტებულ ჟურნალისტებსა და ფოტორეპორტიორებს შორის

დღეებში მოსკოვში ჩატარდა საკავშირო ჩემპიონატი და ამ სკოლისა და ბაზის მეორე აღზრდილმა, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა გენადი პეტრუხინმა საბჭოთა კავშირის ყველა უძლიერეს სპორტსმენებთან ბრძოლაში მეხუთე ადგილი დაიკავა მრავალჭიდში. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „ახლადგამომცხვარი“ სპორტის ოსტატი პეტრუხინი საერთაშორისო კლასის ოსტატების, ევროპის ჩემპიონატთა პრიზიორების კომპანიაში გამოდიოდა, არც ეს შედეგი გახლავთ ურიგო.

სურათზე: ხათუნა კორკელია ახპარეზობის დროს.

საბჭოთა სპორტი 23.8.89

ელვა-ინფორმაცია

კარატეები ქალაქ სტრის დიდებულის კლდოვან ტრასებზე მიმდინარეობს პროფკავშირთა სპორტული საზოგადოების საკავშირო ჩემპიონატი. ამ შეჯიბრებაში იუნიორ მეკლდეურთა შორის შესანიშნავად გამოვიდა ახალგაზრდა მსტიელი სპორტსმენი ზაზა გურჩიანი, რომელმაც ჩემპიონის წოდება მოიპოვა „წყვილთა გარბენში“.

ასპარეზობა გრძელდება.

წოდების მინიჭება

საბჭოთა კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

თავისუფალ ჭიდაობაში — როინ გვეშიანს (ყვარელი, „შრომითი რეზერვები“), გელა ზედგენიძეს (რუსთავი, პროფკავშირები), დავით ხოჯავას (ქუთაისი, პროფკავშირები), მანუჩარ სხირტელს (გორი, პროფკავშირები), ვახტანგ სტურუას (თბილისი, შეიარაღებული ძალები), ნუგზარ მანჯგალაძეს (თბილისი, „დინამო“)

ცურვაში — ეკატერინე რატიანიძეს (თბილისი, პროფკავშირები)

წყალში ხტომაში — თეიმურაზ ხურცილავას (ქუთაისი, სახალხო განათლება)

ცოგაობაში (ბუნებრივ ტრასებზე) — თენგიზ აკოფოვს (ბაკურიანი, „შრომითი რეზედვები“).

პასუხი „ლელოს“

15. 08. 89 წ.

15 აგვისტოს გაზეთ „ლელოში“ გამოქვეყნდა ქ. მაიაკოვსკიდან გამოგზავნილი დეპეშა, სადაც ტექსტი ქართული იყო, შრიფტი — რუსული.

გაცნობებთ, რომ ქართული შრიფტის აპარატები ჯერჯერობით პირდაპირ ქსელში არაა ჩართული.

თბილისის კავშირგაბმულობის განყოფილებებში დგას ქართული ხაბეჭდი აპარატები, ასევე დგას ორი ცალი ქართული ხაბეჭდი მანქანა მე-8 სატელეგრაფო განყოფილებაში (რომელიც ემსახურება თქვენს რედაქციას).

ქმედითობა

როდესაც ქართული დეპეშა შემოდის რუსული შრიფტით, განმეორებით ხდება მისი გადაბეჭდვა ქართულ შრიფტზე, ამის შესაძლებლობები ფოსტამტის განყოფილებებს გააჩნია. მაგრამ მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო.

მე-8 განყოფილების ტელეგრაფისტების ნ. ოსიპოვას და ე. გერასიმოვას უყურადღებობით რედაქციას დეპეშა ჩაებარეს რუსული შრიფტით, რის გამოც მათ გამოეცხადათ საყვედური (ბრძ. №157, 16.08.89 წ.).

მომხდარი ფაქტის გამო გიხდით ბოდიშს.

ზ. წაქაძე,
ფოსტამტის მთავარი ინჟინერი.

ყურადღება!

მიღებულია დადგენილება ქართულ ენაზე გამოშვებული სპორტული ლიტერატურის გამოფენა-კონკურსის მოწყობის შესახებ

ფიზკულტურასა და სპორტში რესპუბლიკის მოსახლეობის ფართოდ მიზიდვის, მათი ჯანმრთელობის ამაღლების, შრომისუნარიანობის განმტკიცების, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესებაში სპორტული ლიტერატურის როლის გაზრდის, ახალი ლიტერატურის შექმნაში ავტორთა წახალისების მიზნით საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია და ა. მარჯანიშვილის სახელობის რესპუბლიკური სახელმწიფო ბიბლიოთეკა ერთობლივი დადგენილებით ატარებენ 1970-1989 წლებში ქართულ ენაზე გამოცემული სპორტული ლიტერატურის გამოფენა-კონკურსს.

კონკურსი მოეწყობა თბილისში 1989 წლის 24 ოქტომბერს. საქართველოს სპორტსახკომის საორგანიზაციო სამმართველოს და მეთოდურ კაბინეტს, სახელმწიფო ბიბლიოთეკის ძალობრივი მუშაობის განყოფილებას, სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის სამდივნოს დაევალათ უზრუნველყონ გამოფენა-კონკურსის ორგანიზებულად ჩატარება ავტორთა ფართო კოლექტივის მოზიდვით.

გამოფენა-კონკურსის მომზადების და პრემიების ხარჯებს გაიღებს საქართველოს სპორტსახკომი.

გამოფენა-კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ყველა ავტორს, რომლებმაც ქართულ ენაზე 1970-1989 წლებში გამოაქვეყნეს ამ დებულებით გათვალისწინებული ლიტერატურა.

გამოფენა-კონკურსი ტარდება სამ ძირითად განყოფილებად (თემებად):

— სპორტული ლიტერატურა;

— სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა და სპორტული მედიცინა;

— მხატვრული, ბიოგრაფიული და ილუსტრირებულ-რეკლამური ხასიათის ლიტერატურა.

გამოფენა-კონკურსი ტარდება ღია წესით. მის შედეგებს შეაჯამებს ჟიური.

გამოფენა-კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ავტორებს. გამოცემული (დასტამბული ან გამრავლებული) სპორტული ლიტერატურა უნდა იყოს არანაკლებ ორი თაბახის მოცულობისა.

ერთ ავტორს შეუძლია წარმოადგინოს არა უმეტეს სამი ნაშრომისა.

ნაშრომები წარმოდგენილი უნდა იქნეს სპორტსახკომის საორგანიზაციო სამმართველოში ან მეთოდურ კაბინეტში 1989 წლის 5 ოქტომბრისთვის (მისამართი — ი. ჭავჭავაძის გამზირი 49-ა, ტელ. 23-50-06 და 23-51-72).

შენიშვნა: ყოველ ნაშრომზე ავტორი ავსებს განაცხადს დართული ნიმუშის მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში გამოფენა-კონკურსში გამოყენებული იქნება სახელმწიფო ბიბლიოთეკის საფონდო მასალები.

ნაშრომები შეფასდება შინაარსის, თემის აქტუალობის, პრაქტიკული მნიშვნელობის, გამოცემის ხარისხის და ილუსტრაციის დონის მიხედვით (ტირაჟს მნიშვნელობა არა აქვს).

გამარჯვებულთათვის დაწესებულია პრემიები:

სპორტულ ლიტერატურაში:

ერთი პირველი პრემია — 300 მან;
ერთი მეორე პრემია — 200 მან;
ერთი მესამე პრემია — 100 მან;

სასწავლო-მეთოდურ ლიტერატურასა და სპორტულ მედიცინაში:

ერთი პირველი პრემია —300 მან;
ერთი მეორე პრემია — 200 მან;
ერთი მესამე პრემია — 100 მან;

მხატვრული-ბიოგრაფიული და ილუსტრირებულ-რეკლამური ხასიათის ლიტერატურაში:

ერთი პირველი პრემია —300 მან;
ერთი მეორე პრემია — 200 მან;
ერთი მესამე პრემია — 100 მან;

გამარჯვებული ავტორები ფულადი პრემიების გარდა დაჯილდოვდებიან ჩამტარებელი ორგანიზაციების სიგელებით. სიგელებით დაჯილდოვდებიან აგრეთვე ავტორები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ გამოფენა-კონკურსში.

შენიშვნა: გამოფენა-კონკურსზე წარმოდგენილი ნაშრომები შემდეგ უბრუნდება ავტორებს ან მათი სურვილით გადაეცემა სპორტსახკომის ბიბლიოთეკას.

სპორტული ლიტერატურის გამოფენა-კონკურსის მონაწილე

ავტორის განაცხადი

_____

თარიღი

1. გვარი, სახელი, მამის სახელი _____
2. დაბადების წელი _____
3. განათლება _____

/უმაღლესი სასწავლებლის ზუსტი დასახელება/

4. წოდება _____

/სპორტული, სამეცნიერო/

_____

5. ნაშრომის დასახელება _____

გამოცემის წელი _____, გამომცემლობა _____

დამკვეთი ორგანიზაცია _____

გამომშვები ორგანიზაცია _____

თაბახის რაოდენობა _____

6. გამოფენა-კონკურსში მონაწილეობა განყოფილების /თემატიკის/ მიხედვით /ბაზი გაესვას/:

– სპორტული ლიტერატურა;

– სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა და სპორტული მედიცინა;

– მხატვრული, ბიოგრაფიული და ილუსტრირებულ-სარეკლამო ლიტერატურა;

7. სამუშაო ადგილი, თანამდებობა, ტელ. _____

_____

8. ბინის მისამართი _____, ტელ. _____

ხელისმოწერა _____

რატომ ვდუმდით?

რედაქციაში შემოვიდა ასეთი შინაარსის წერილი

ძვირფასო ლელოელებო!

თქვენგან შევიტყვეთ, რომ თბილისის „დინამო“ სულ ახლახან ინგლისში გაემგზავრა, სადაც ორ მატჩს გამართავდა. თუ ვის შეხვდნენ, რა მატჩები იყო ეს, და რა ანგარიშით დამთავრდა შეხვედრები, თქვენი გაზეთი დუმს, რატომ?

სადღაც მოვკარით ყური, თითქოს პირველი თამაში დინამოელებს დიდი ანგარიშით წაუგიათ, მეორე კი მოუგიათ 2:0. იქნებ ყველაფერი ეს ჭორია. თქვენი დუმილი გვაოცებს და ეჭვებს აღრმავებს. იქნებ გვიპასუხოთ რაიმე?

გიორგი ქავთარაძე,
„ლელოს“ ერთგული მკითხველი,
სტუდენტი.
თბილისი.

რედაქციისაგან: მკითხველი მართალია და არ გვაქვს უფლება შენიშვნა არ მივიღოთ. განმარტებას კი მაინც საჭიროდ ვთვლით. თბილისის „დინამო“ მოსკოვში თანაკლუბელებთან შეხვედრის შემდეგ, უცაცრად გაემგზავრა ინგლისში. ეს უველასათვის მოულოდნელი იყო, რადგან ხმები დადიოდა, თითქოს მასპინძელ ქვეყანასთან დაჩქარებით ვიზების გაფორმება არ ხერხდებოდა. მერე როგორც ჩანს, მოხერხდა და გუნდი ინგლისში გაფრინდა, იქიდან არ ვიცით, რა გზით და რა არხებით, თბილისში გაჩნდა ცნობა, რომ „დინამომ“ მატჩი მოიგო — 2:0. „ლელოში“ ამის თაობაზე არავითარი ოფიციალური ცნობა არ მიგვიღია. მერე ითქვა, რომ თურმე „დინამოს“ პირველი მატჩი წაუგია — 0:4, დაწვრილებით კი, ვერაფერი სარწმუნო ვერ შევიტყვეთ. ისინიც კი, ვინც ამ შეხვედრების ანგარიშებს ასახელებდნენ, დარწმუნებული არ იყვნენ, სტუმართა რომელ გუნდებთან გაიმართა მატჩები. აი, ამიტომ ვდუმდით. ინგლისს მოჰყვა შვეიცია. „დინამო“ ამ დღეებში შინ დაბრუნდა. ორივე ქვეყნის გუნდებთან მატჩების ზუსტი ინფორმაცია ახლა თვით გუნდის ხელმძღვანელობისგან მივიღეთ.

...თბილისის „დინამომ“ გეზი ინგლისისკენ აიღო 4 აგვისტოს, მოსკოვის თანაკლუბელებთან ჩატარებული მძიმე მატჩის მეორე დღეს, გუნდი გვიან ღამით, უფრო სწორად, უკვე 5 რიცხვში ჩავიდა მანჩესტერში. შეხვედრა იმავე დღეს იყო დანიშნული ჭალაქ ოლდ-ჰემის ამავე სახელწოდების გუნდთან. მატჩი ხელოვნურსაფარიან მინდორზე ჩატარდა. მოუმზადებლად, როგორც ცნობილია, საკმაოდ რთულია, ერთი სიტყვით, „დინამომ“ ეს თამაში წააგო — 0:4.

მეორე მატჩი დინამოელებმა 8 აგვისტოს ითამაშეს შოტლანდიაში, ქალაქ ედინბურგის გუნდ „ჰართ ოფ მიდლოტიენთან“. ეს გუნდი შოტლანდიის ჩემპიონატში მოწინავეთა შორისაა. მატჩი მოიგეს დინამოელებმა — 2:0. ბურთები გაიტანეს გოგიჩაიშვილმა და კაჭარავამ.

შემდეგ დინამოელები მოსკოვს დაბრუნდნენ, მონაწილეობა მიიღეს ლევ იაშინის იუბილესთან დაკავშირებულ საფეხბურთო დღესასწაულში და 13 აგვისტოს შვეიცარიაში გაემგზავრნენ. ფეხბურთის მოყვარულებისთვის ცნობილია, რომ ამ ქვეყნის ერთ-ერთ გუნდში თამაშობენ ჩვენი ფეხბურთელები თენგიზ სულაქველიძე და რამაზ შენგელია. სწორედ ამ კლუბთან დადებული კონტრაქტის თანახმად, თბილისის „დინამომ“ შვეიცარიაში საწვრთნელი შეკრება მოაწყო. გუნდი დაბინავდა ქალაქ უმეოს სასტუმროში. ფეხბურთელები, ჩვეულებრივ, ყოველდღიურად ორჯერად ვარჯიშებს ატარებდნენ, თამაშების დღეებში დილით ვარჯიშობდნენ, საღამოს კი ავტობუსით მიემგზავრებოდნენ მატჩზე.

14 აგვისტოს „დინამომ“ ითამაშა ქალაქ ბურტრასკის გუნდთან და გაიმარჯვა ანგარიშით 4:0. 17 აგვისტოს მისი მეტოქე იყო „ჰოლმსუნდი“, სწორედ ის გუნდი, რომელშიც შენგელია და სულაქველიძე გამოდიან. მატჩის შედეგია ფრე — 1:1. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ჰოლმსუნდი“ ძალზე კმაყოფილია ქართველი ფეხბურთელების თამაშით. ბოლო შეხვედრა თბილისელებმა ქალაქ ვიხდენში გამართეს ადგილობრივ გუნდთან და დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 9:1.

აი, ორიოდე სიტყვით რა შეიძლება ითქვას თბილისის „დინამოს“ ამ საზღვარგარეთულ ტურნეზე.

მთავარი ის არის, რომ, როგორც გუნდის ხელმძღვანელებმა თქვეს, „დინამოს“ ყველა პირობა ჰქონდა ნაყოფიერი საწვრთნელი მუშაობისთვის, ფეხბურთელები კარგად გრძნობენ თავს და ახლა ისინი დიღომში, თავიანთ საწვრთნელ ბაზაზე ემზადებიან დუშანბეს „პამირთან“ შესახვედრად.

გიორგი ქორქია.

ასეთი ტურნირიც გვჭირდება

მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების, ხალხთა შეგობრობის განმტკიცებისთვის საერთაშორისო სპორტულ ჯაშირებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ახლა, როცა საქართველო სუვერენიტეტის პირველ რეალურ ნაბიჯებს დგამს, ეს ვითარება სპორტშიც ისახება. კარგი იქნება ჩვენს რესპუბლიკაში ისეთი საერთაშორისო ასპარეზობების გამართვა, რომლებშიც საქართველო დამოუკიდებელი ეროვნული გუნდებით იასპარეზებს, საამისო ერთგვარი გამოცდილება გვაქვს კიდეც, გავიხსენოთ ხელბურთელთა, ძიუდოისტთა, თავისუფალ მოჭიდავეთა, წყალბურთელთა და სხვ. ტრადიციული საერთაშორისო ტურნირები. სასურველია ეს გამოცდილება სპორტის სხვა სახეობებზეც გავავრცელოთ, კერძოდ, ფეხბურთზე.

შავი ზღვის აუზი ის რეგიონია, სადაც ერთმანეთს უშუალოდ ებჯინება ორი დაპირისპირებული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი და, ამდენად, აქ განლაგებული ქვეყნების ფეხბურთელთა სისტემატურ მეგობრულ შეხვედრებს დიდი წვლილი შეუძლია შეიტანოს ამ ქვეყნების ხალხთა დამეგობრებაში. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მესახება დამკვიდრდეს შავი ზღვის სახელმწიფოების ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ყოველწლიური მინი-ტურნირი. თუ ეს წინადადება მისაღებია, ტურნირის ფორმულას კომპეტენტური პირები შეიმუშავებენ, მაგრამ ჩემი მხრივ მინდა შემოგთავაზოთ შემდეგი:

პირველი ტურნირის ორგანიზატორი და ინიციატორი საქართველო უნდა იყოს. მონაწილე სახელმწიფოთა გუნდები კენჭისყრით დაიყოფიან ორ ჯგუფად (თითოეული 3-3), ჯგუფებში ისინი წრიული სისტემით ითამაშებენ შავი ზღვისპირა ქალაქებში ბათუმსა და სოხუმში (შეიძლება ქუთაისისა და ლანჩხუთის სტადიონების გამოყენებაც), ხოლო ჯგუფებში გამარჯვებულნი თბილისში გაითამაშებენ ფინალს.

ტურნირის გამართვას ბევრი დრო არ დასჭირდება, თითოეულ გუნდს ჯგუფებში ორი თამაში მოუწევს, ხოლო ფინალისტებს — სამი. ამდენად, ტურნირი სულ ერთ კვირას გასტანს, მისი ვადები მოსაწონია ქვეყნებისა და უეფა-ს შორის ურთიერთშეთანხმების შედეგად შეიძლება დადგინდეს. ტურნირი რიგრიგობით გაიმართება ყველა მონაწილე ქვეყანაში, ე. ი. თითოეულ მათგანს ტურნირის გამართვა დაახლოებით შვიდ წელიწადში ერთხელ მოუწევს, რაც დიდ სიძნელეებთან არ იქნება დაკავშირებული.

ბოლოს რწმენა უნდა გამოვთქვა, რომ ტურნირს სპონსორებიც გამოუჩნდება როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ, ხოლო პირველი ტურნირის პრიზის „ოქროს საწმისის“ საჭირო თანხას ჩვენვე, ქართველი გულშემატკივრები გავიღებთ.

ასეთი ტურნირი ფეხბურთის მოყვარულთა დიდ ინტერესს გამოიწვევს, იგი დიდ წვლილს შეიტანს ფეხბურთის შემდგომი პოპულარიზაციის საქმეში.

რევაზ ლომინაძე,
თეატრალური ინსტიტუტის დოცენტი.

მკითხველი — გაზეთი

გთხოვთ გვიპასუხოთ, ვის ენიჭება საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება და რა დამსახურებისთვის. ამასთან, გვაინტერესებს, თუ პირს მინიჭებული აქვს ერთი საპატიო წოდება, შეიძლება თუ არა მიენიჭოს მეორე?

გიორგი სიბაშვილი (გურჯაანი).

პასუხი: ჯერ უნდა განვმარტოთ, რომ წოდება „საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე“ ეს არის ამ წოდების თავდაპირველი დასახელება. შემდეგ შეიტანეს შესწორება — სიტყვა „მოღვაწე“ შეიცვალა სიტყვით — „მუშაკი“.

ახლა კი გთავაზობთ ამონაწერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 15 ივნისის ბრძანებულებიდან:

მუხლი 8. საქართველოს სსრ ზოგიერთ საპატიო წოდებას აქვს ორი ხარისხი: „დამსახურებული“ და „სახალხო“.

საპატიო წოდება „სახალხო“ შეიძლება მიენიჭოთ მოქალაქეებს ახალი დამსახურებისათვის, საპატიო წოდება „დამსახურებულის“ მინიჭების შემდეგ.

მუხლი 9. საქართველოს სსრ საპატიო წოდება არ მიენიჭება იმ პირს, რომელსაც უკვე აქვს საქართველოს სსრ რომელიმე საპატიო წოდება, გარდა ამ დებულების მე-8 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

მუხლი 10. საქართველოს სსრ საპატიო წოდება ენიჭება იმ მოქალაქეს, რომელსაც აქვს სახალხო მეურნეობის შესაბამის დარგში მუშაობის სულ ცოტა 20 წლის სტაჟი. აღნიშნული სტაჟი სავალდებულო არ არის „საქართველოს სსრ სახალხო მასწავლებლის“, „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“, „საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის“, „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლისა და რაციონალიზატორის“, „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“, „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“, „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის“, „საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორის“ საპატიო წოდებათა მინიჭების შემთხვევაში.

საქართველოს სსრ საპატიო წოდების მისანიჭებლად საჭირო სტაჟში ჩაითვლება ის დრო, რომლის განმავლობაში დასაჯილდოვებლად წარდგენილმა პირმა იმუშავა უშუალოდ სპეციალობის მიხედვით.

საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი — ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებს, მათ შორის საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავეებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რესპუბლიკაში მასობრივი სპორტისა და ფიზიკური კულტურის განვითარების საქმეში, აღზარდეს ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს ჩემპიონები და რეკორდსმენები, სხვა უმაღლესი სპორტული მიღწევებლების მქონე სპორტსმენები და მოამზადეს მაღალკვალიფიციურ მწვრთნელთა კადრები.

ნაკრებში არც ერთი ჩვენი მოჭიდავე

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ივან იარიგინმა დაასახელა ათი სპორტსმენის გვარი, რომლებიც გაემგზავრებიან შვეიცარიას მსოფლიო ჩემპიონატში (მონაწილეობის მისაღებად.

შემადგენლობაში მოხვდა სეულის ოლიმპიადის ორმაგი ჩემპიონი — არსენ ფადაევი (იგი, ამავე დროს, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონია) და მახარბეკ ხადარცევი (მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი), აგრეთვე, მახარბეკის ძმა ასლან ხადარცევი, რომელიც სულაც არ გამოსულა, მსოფლიო ჩემპიონი კი სამჯერ იყო.

გუნდის წევრთა შორის არიან: ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, კიროვაკანელი სტეპან სარკისიანი, ორჯონიკიძელი ვლადიმერ თოგუზოვი, ოსმან ეფენდიევი ყაჩაისკიდან, გნელ მეჯლუმიანი (ერევანი), ახმეტ ატავოვი (კრასნოიარსკი), ელმადი ყაბარაილოვი (მახაჩყალა) და ბორის ბუდაევი (ულან-უდე).

როგორც ხედავთ, ნაკრებში არ არის ჩვენი რესპუბლიკის არც ერთი მოჭიდავე, არა და კანდიდატთა შორის იყო ოლიმპიური ჩემპიონი დავით გობეჯიშვილი და ავთანდილ გოგოლიშვილი. ამ ამბით დაინტერესდა რედაქციაც, რომელსაც განზრახული აქვს გაზეთის ოქტომბრის ნომერში ჰოკეის სპეციალისტის კომენტარი.

I ლიგა

21 აგვისტოს ლანჩხუთში შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი, ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები ადგილობრივი „გურია“ და ვორონეჟის „ფაკელი“.

ახლა, როდესაც I ლიგაში განვლილია 26 ტური, საშუალება გვაქვს თამამად ვილაპარაკოთ იმ გუნდებზე, რომლებიც უმაღლეს ლიგაში გადასვლის რეალური პრეტენდენტები არიან.

მათ შორის უპირველესი ლიდერია ცსკა, რომელიც გათამაშების დაწყებიდან დღემდე თანარჩუნებს უმაღლეს ლიგაში დაბრუნების შესაძლებლობას, ძნელად, რომ არმიელებმა ხელიდან გაუშვან ეს შანსი და სათუოდ გაიხადონ საქმე, მაგრამ დაძაბული ბრძოლაა გაჩაღებული მეორე საგზურისთვის, მისი მოპოვების უმთავრესი პრეტენდენტები არიან ლანჩხუთის „გურია“ და ალმა-ათის „კაირატი“, რომლებმაც 26-ე ტურისთვის ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს, მაგრამ „გურიას“ მარაგში აქვს გამოტოვებული მატჩი ბათუმის „დინამოსთან“, ეს კი მას დიდ უპირატესობას ანიჭებს. ცხადია, „გურია“ უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება მეტოქესთან შედარებით, მით უფრო, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ჩვენმა გუნდმა ზედ გათამაშების ფინიშზე, 5 ნოემბერს თავის მინდორზე უნდა მიიღოს „კაირატი“. წინასწარ ლაპარაკი იმის თაობაზე, თუ საგაისოდ ვინ გადავა უმაღლეს ლიგაში, ნაადრევად მიგვაჩნია, მაგრამ ერთი რამ ყველასათვის ნათელი და აშკარაა: ლანჩხუთის გუნდს საუკეთესო შესაძლებლობა აქვს დაუბრუნდეს ჩვენი ფეხბურთის ელიტას.

როგორც ითქვა, ლანჩხუთელთა მეტოქე განვლილ ტურში ვორონეჟის „ფაკელი“ იყო და, თუმცა, იგი საგრძნობი განსხვავებით ჩამორჩებოდა „გურიას“, მასთან შეხვედრა მაინც მეტად დიდმნიშვნელოვანი გახლდათ, ვინაიდან „ფაკელი“ სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზე იმყოფებოდა, გარკვეული შანსები მასაც აქვს. და, აი ეს საპასუხისმგებლო მატჩი ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა საუკეთესოდ ჩაატარეს და მეტოქის ხსნის არავითარი იმედი არ დაუტოვეს. მათ, ფაქტიურად, ჯერ კიდევ პირველ ტაიმში მოათავეს საქმე, 3 „მშრალი“ ბურთი გაიტანეს ვორონეჟელთა კარში, „გურიის“ გამარჯვება, უდავოდ, ყოველმხრივ გამართლებული, დამსახურებული და დამაჯერებელი იყო.

მომდინარეობდა თამაშის მე-8 წუთი, როცა ცომაიამ და გურულმა გაითამაშეს კომბინაცია, შემდეგ ბურთი დოზმოროვმა მიიღო და ზუსტად გაგზავნა მეტოქის კარში — 1:0, ათიოდე წუთის შემდეგ დანელიას გადაცემა კარგად გამოიყენა ფრიდონაშვილმა და ანგარიში 2:0-მდე აიყვანა, ხოლო 22-ე წუთზე კორღალიძის მიერ წამოწყებული კომბინაცია გააგრძელა გურულმა და დაამთავრა ფრიდონაშვილმა — 3:0.

შესვენების შემდეგ მასპინძლებს შესაძლებლობა მოეცათ დამშვიდებით, დაჯერებულად ეთამაშათ და, თუმცა, ვორონეჟელი ფეხბურთელები ბევრს ეცადნენ თუნდაც ერთი საპასუხო ბურთი გაეტანათ, „გურიამ“ არ დათმო და ბოლომდე წარმატებით მიიყვანა გამარჯვების საქმე.

ლანჩხუთელ ფეხბურთელთა ეს კიდევ ერთი, ახალი წარმატება იმედს გვინერგავს, რომ გუნდი გათამაშების ბოლომდე ხელიდან არ გაუშვებს მონაპოვარს და ღირსეულად დაეუფლება უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ საგზურს.

ლანჩხუთელებმა „ფაკელთან“ ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: აბუსერიძე, ტყებუჩავა, ოლეფირენკო, კუზნეცოვი, დახელია, ცომაია, ბარათაშვილი (კაციტაძე), კორღალიძე, ფრიდონაშვილი, გურული (თევზაძე), დოზმოროვი, მსაჯი ს. სლივა (კაუნასი).

• • •

გუშინ ბათუმში შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშებს XXVII ტურის შეხვედრა, ადგილობრივმა „დინამომ“ მიიღო კიშინიოვის „ნისტრუ“.

თამაში დამთავრდა ბათუმელთა გამარჯვებით 4:1.



საერთაშორისო ფეხბურთი: ფლორენცია, ცხრილები

გაიმართა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები.

დანია

XIV ტური. „იკასტი“ — „ბრონშიო“ 1:3, „ორხუსი“ — „ნესტვედი“ 1:0, „1903 კოპენჰაგენი“ — „ლუნგბიუ“ 0:0, „ბკ ოდენსე“ — „ვეილე“ 1:0, „ოლბორგი“ — „სილკებორგი“ 1:1, „ფრამი“ — „1913 ოდენსე“ 2:1, „ჰერფოლგე“ — „ბრონდბიუ“ 1:0.

„ბკ ოდენსე“	14	28-10	22
„ბრონდბიუ“	14	29-13	21
„ვეილე“	14	21-10	21

ნორვეგია

XII ტური. „ბრანი“ — „სტავანგერი“ 1:0, „ნარვიკი“ — „ტრომშიო“ 0:3, „მოლდე“ — „კუნგსვინგერი“ 1:4, „მოსი“ — „კრისტიანსანდი“ 1:1, „სიონდალი“ — „რუსენბორგი“ 1:4, „ვოლერინგენი“ — „ლილესტრიომი“ 1:2.

„ლილესტრიომი“	12	16-8	26
„რუსენბორგი“	12	28-18	23
„ტრომშიო“	12	20-11	23

შვეიცარია

VI ტური. „ბელინცონა“ — „სიონი“ 1:2, „გრასჰოპერსი“ — „არაუ“ 1:2, „ლოზანა“ — „ლუგანო“ 1:1, „ცსკა-ქსამაქსი“ — „ლუცერნი“ 3:2, „სენტ გალენი“ — „სერვეტი“ 1:1, „ვეტინგენი“ — „იანგ ბოისი“ 1:1.

„ქსამაქსი“	6	16-9	10
„სიონი“	6	9-7	8
„სერვეტი“	6	10-7	7

ჰოლანდია

I ტური. „უტრეჰტი“ — „ფეიენოორდი“ 3:0, „ვოლენდამი“ — „ჰარლემი“ 1:0, „ვალვიკი“ — „გრონინგენი“ 3:1, „მაასტრიჰტი“ — „ტილბურგი“ 2:1, „ტვენტე“ — „როდა“ 1:1, „სპარტა“ — „ნიმიგენი“ 1:2, „ჰაარა“ — „აიაქსი“ 0:4, „ანჰეიმი“ — „სიტარდი“ 1:1, „ეინდჰოვენი“ — „დენ ბოში“ — გადაიდო.

პოლონეთი

IV ტური. „ვისლა“ — ლკს 3:2, „ბიალისტოკი“ — „სლასკი“ 1:1, „ლუბლინი“ — „ლოგვა“ 0:0, „ლუბინი“ — „კატოვიცე“ 3:1, „სტალი“ — „სილეზეტე“ 0:2, „ლუბნი“ — „ბიდგოშცი“ 1:5, „რუნი“ — გკს 0:3.

„რუნი“ (ხოჯუვი)	4	7
გკს (კატოვიცე)	4	7
„ბიდგოშცი“	4	7

შვეცია

XV ტური. „გაისი“ — „აიკი“ 2:0, „იურგორდენი“ — „მალმიო“ 1:0, „ერებრუ“ — „ჰალმსტადი“ 0:1, „ნორჩეპინგი“ — „ფროლუნდა“ 7:1, „სუნდვალი“ — „ერგრიუტი“ 0:1, „გეტებორგი“ — „ბრაგე“ — გადაიდო.

„მალმიო“	15	22
„ჰალმსტადი“	14	22
„ნორჩეპინგი“	15	19

გფრ

III ტური. „დიუსელდორფი“ — „ფრანკფურტი“ 1:2, „კაიზერსლაუტერნი“ — „კარლსრუე“ 5:1, „სენტ პაული“ — „ნიურნბერგი“ 0:1, „ლევერკუზენი“ — „მიონხენგლადბახი“ 0:0, „იურდინგენი“ — „კიოლნი“ 2:3, „შტუტგარტი“ — „მანჰეიმი“ 1:0, „ბოჰუმი“ — „ჰამბურგი“ 3:1, „ვერდერი“ — „დორტმუნდი“ 2:0.

„კაიზერსლაუტერნი“	3	9-4	5
„ფრანკფურტი“	3	6-3	5
„შტუტგარტი“	3	3-0	5

შოტლანდია

I ტური. „აბერდინი“ — „ჰიბერნიანი“ 1:0, „დანდი იუნაიტედი“ — „მოზერეული“ 1:1, „დანფერმლაინი“ — „დანდი“ 2:1, „ჰართსი“ — „სელტიკი“ 1:3, „რეინჯერსი“ — „სენტ მირენი“ 0:1.

გდრ

I ტური. „დრეზდენი“ — „ჰალე“ 2:0, „ბერლინი“ — „ერფურტი“ 2:2, „ლაიფციგი“ — „ბიშოფსვერდა“ 3:1, „როსტოკი“ — „ბრანდენბურგი“ 1:0, „კოტბუსი“ — „კარლ-მარქს-შტადტი“ 0:0, „მაგდებურგი“ — „კარლ ცეისი“ 2:0, „იენჰენაუტენშტადტი“ — „ვისმუტი“ 0:0.

იხ. მე-4 გვ.

„სიჭაბუკის თასზე“

მოგვილოცავი დამთავრდა მოზარდ ფეხბურთელთა „სიჭაბუკის თასის“ საკავშირო გათამაშების ფინალური ეტაპი. როგორც გაუწყეთ, საქართველოს ნაკრებს ორი ტურის შემდეგ 2 ქულა ჰქონდა, მომდევნო შეხვედრები ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა თავიანთ შესაძლებლობაზე სუსტად ჩაატარეს, ფრედ ითამაშეს უზბეკეთის ნაკრებთან — 1:1, დაამარცხეს რსფსრ-ის გუნდი — 2:1 და ბოლო ტურში დიდი ანგარიშით (0:3) დამარცხდნენ სომეხ თანატოლებთან, დააგროვეს 5 ქულა და საბოლოოდ მეოთხე ადგილზე გავიდნენ. ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა რსფსრ-ის კოლექტივმა. გათამაშების საბოლოო ცხრილი კი ასე გამოიყურება:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
რსფსრ	5	4	0	1	7-4	8
უკრაინა	5	2	2	1	6-3	6
უზბეკეთი	5	2	2	1	4-2	6
საქართველო	5	1	3	1	4-6	5
სომხეთი	5	2	0	3	5-6	4
ლენინგრადი	5	0	1	4	1-6	1

ტურნირზე დაწესებული იყო პრიზები საუკეთესო მოთამაშეთათვის. მეკარის პრიზი ჩვენი გუნდის წევრს თ. ჩლაიძეს გადაეცა, უველაზე ტექნიკურ მოთამაშედ დაასახელეს საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ზ. ხამხაძე.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ შედგა საკავშირო ნაკრები. საბჭოთა კავშირის ნაკრების კანდიდატთა სიაში ჩვენი რესპუბლიკის ხუთი წარმომადგენელია: ჯ. ჩუხუა, თ. ჩლაიძე, ზ. უშვერიძე, ზ. სამხარაძე, ზ. კვეკვესკირი, ეს ფეხბურთელები მალე საწვრთნელ შეკრებაზე გაემგზავრებიან.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

19 აგვისტოს ოდესაში უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის XVI ტურის მატჩი ადგილობრივ „ჩერნომორეცსა“ და კიევის „დინამოს“ შორის დამთავრდა ფრედ — 1:1 (1:1). ანგარიში გახსნა ოდესელმა შჩერბაკოვმა, ხოლო საპასუხო ბურთი გაიტანა იარემჩენკომ.

დუბლიორები — 2:2.

საფეხბურთო ლიგების კავშირში

27 აგვისტოს მოსკოვში შედგება ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო ლიგების კავშირის ადმინისტრაციული საბჭოს სხდომა, რომელზეც II ლიგის გუნდების ხელმძღვანელთა თანდასწრებით განიხილავენ ამ ლიგის ოსტატთა კოლექტივების საკავშირო გათამაშების სისტემის საკითხს.

II ლიგა

გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი, XXXIX ტურის შეხვედრები: „ნარტი“ (ჩერკესკი) — „დილა“ (გორი) 2:0, „ლოკომოტივი“ (მინ. წყლები) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 0:1, „ხაზარი“ (სუმგაითი) — „დინამო“ (სოხუმი) 0:1, „ხაზარი“ (ლენქორანი) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:1, „ტორპედო“ (ვოლესკი) — „ტექსტილშჩიკი“ (კამიშინი) 0:0, „ატომმაში“ (ვოლგოდონსკი) — „ზვეზდა“ (როდიშჩე) 1:1, „კოლხეთი“ (ფოთი) — „დინამო“ (მახაჩყალა) 2:1, „მეჩრცხალი“ (ოზურგეთი) — „ტერმისტი“ (ბაქო) 4:1, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „შევარდენი“ (თბილისი) 5:1, ომკ (თბილისი) — „გოლაზანი“ (ყაზახი) 2:4.

ფეხბურთის დიდი ვარსკვლავი — ეუსებიო

გამოჩენილ საბჭოთა მეკარე ლევ იაშინისადმი მიძღვნილი მატჩის ერთ-ერთი ყველაზე საპატიო, ყველაზე ჟრიამულიანი სტუმარი იყო სახელგანთქმული პორტუგალიელი ფეხბურთელი ეუსებიო. წარსულის გამოჩენილ ვარსკვლავთა მატჩში საბჭოთა ვეტერანთა ნაკრების წინააღმდეგ მონაწილეობდა ეუსებიოც, ალბათ, ყველას კარგად გახსოვთ მისი თამაში და შორი მანძილიდან გატანილ-შესანიშნავი გოლი.

ეუსებიო ყველა დროის ერთ-ერთი ბრწყინვალე ფეხბურთელია, მის სახელს მოიხსენიებენ პელეს, მეტიუზის, გარინჩას, დი სტეფანოს, ბეკენბაუერის, კრუიფისა და სხვათა გვერდით, ეუსებიომ თავისი ავტორიტეტული სიტყვა თქვა დიდ საერთაშორისო ფეხბურთში.

ეუსებიო ზანგია, დაიბადა აფრიკაში, მოზამბიკში, ჯერ კიდევ ბავშვობაში მისი მშობლები პორტუგალიაში გადასახლდნენ, აქ დაიწყო თამაში და უკვე სამი ათეული წელიწადია მჭიდროდ დაკავშირებულია პორტუგალიის უველაზე პოპულარული კლუბის, ლისაბონის „ბენფიკას“ სახელთან. ეუსებიომ 1975 წელს დაანება თამაშს თავი, მას შემდეგ საკმაო ხანი გავიდა, მაგრამ ეს ზანგი ფეხბურთელი არავის დავიწყნია, მისი სახელი კვლავინდებურად არ ცოცდება გაზეთების ფურცლებს.

— ფეხბურთი ჩემი მთავარი სიყვარულია, ფეხბურთი კი „ბენფიკასთან“ მაკავშირებს. ეს კლუბია ჩემი სიჭაბუკეც, ახალგაზრდობაც და ახლა, 50 წელს რომ ვუახლოვდები, „ბენფიკა“ კვლავ ჩემი ერთადერთი ფეტიშია. კლუბის ერთ-ერთ მწვრთნელად ვმუშაობდა და უველაფერს, თუ კი რამე შემიძლია, კვლევთ კლუბისა და მისი ფეხბურთელების საკეთილდღეოდ.

ეუსებიო ახლაც ბრწყინავდა მსოფლიოს ვარსკვლავთა შორის მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე, რა თქმა უნდა, 46 წლის სპორტსმენი საკმაოდ „დამრგვალებული“ ჩანდა და დამძიმებულიც, მაგრამ თავის საქმეს მაინც ოსტატურად აკეთებდა, ძველი თაობის ფეხბურთელთაგან თუკი ვინმეს გამოარჩევდი, ერთ-ერთი მათგანი, უდავოდ, ეუსებიო იყო.

ამ ფეხბურთელმა „ბენფიკას“ შემადგენლობაში ოთხჯერ ითამაშა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალურ მატჩებში, ორჯერ (1961 და 1962 წლებში) დაეუფლა ამ საპატიო ჯილდოს, ფეხბურთელის 15 წლის კარიერის მანძილზე 62-ჯერ გამოვიდა პორტუგალიის ნაკრების შემადგენლობაში, მისი თამაში 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს ინგლისელ რ. ჩარლტონთან ერთად, მსოფლიოს იდეალურ ნაკრებშიც შეიყვანეს. 1967 წელში იგი ევროპის უძლიერეს ფეხბურთელად მიიჩნიეს, რისთვისაც „ოქროს ბურთით“ დაჯილდოვეს, 1968 და 1973 წლებში ეუსებიომ. როგორც ევროპის საუკეთესო ბომბარდირმა, „ოქროს ბუცი“ მოიპოვა.

„ბენფიკას“ მეკარეებს თავიანთ საუკეთესო მასწავლებლად დღემდე ეუსებიო მიაჩნიათ, საწვრთნელ

ფლიო ჩემპიონატზე, ინგლისში, ოქროს ასოებით ჩაიწერა დიდი ფეხბურთის ისტორიაში. მას პელესაც კი ადარებდნენ. მაშინ მხოლოდ ნახევარფინალში შეძლეს პორტუგალიელთა წინსვლის შეჩერება მომავალმა ჩემპიონებმა ინგლისელებმა, მესამე ადგილისთვის ბრძოლაში კი პორტუგალიისა და სსრ კავშირის გუნდებს შორის, რომელიც პორტუგალიელებმა მოიგეს ანგარიშით 2:1, გადამწყვეტი როლი სწორედ ეუსებიომ შეასრულა. იგი იმ წელს მსოფლიო ვარჯიშებში მისი ყუმბარისებური დარტყმები მათთვის ოსტატობის ამაღლების საუკეთესო სკოლაა.

კორესპონდენტების ტრადიციულ შეკითხვაზე, თუ რომელი მატჩები მიაჩნია ეუსებიოს ყველაზე მნიშვნელოვნად თავისი საფეხბურთო კარიერის მანძილზე, იგი პასუხობს:

— 1962 წლის ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩი მადრიდის „რეალთან“, რომელიც ანგარიშით 5:3 მოვიგეთ, და 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შეხვედრა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან, როცა კორეელი ფეხბურთელები წინ იყვნენ ანგარიშით 3:0 და პორტუგალიელებმა მხოლოდ ძალების კოლოსალური დაძაბვის შემდეგ შეძელი გარდატეხის შეტანა თამაშში, გავიმარჯვეთ ანგარიშით 5:3, მაშინ 4 ბურთი გავიტანე...

დღევანდელ ფეხბურთზე ეუსებიო საკმაოდ ფრთხილ მოსაზრებას გამოთქვამს:

— მას მერე, რაც მწვანე მინდორი დავტოვე, თამაში დიდად არ შეცვლილა, მაგრამ პორტუგალიის ნაკრებში ახლა აღარ არიან ისეთი დიდი ფეხბურთელები, როგორებიც იყვნენ კოლუნა, სიმოესი, ტორესი, აღარას ვამბობ სხვა ქვეყნების ლეგენდარულ ოსტატებზე. მაგრამ ახლა ტაქტიკა, გაბედულება, სითამამე გაცილებით უფრო დიდ როლს ასრულებს თამაშში, ვიდრე ჩემს დროს. გაიზარდა მოთამაშეთა ფიზიკური მომზადება, სისწრაფე, მაგრამ ჩვენც ხომ მაქსიმალურად სწრაფად და, რაც მთავარია, ტექნიკურად ვთამაშობდით, ახლა ბევრი ფეხბურთელი ტექნიკურ ნაკლოვანებას ძალისმიერი, უხეში თამაშით ინახლაურებს. ჩემი აზრით, 1966 წლის პორტუგალიის ნაკრები განვლილი ევროპის ჩემპიონატის ფინალში ითამაშებდა, აღარას ვამბობ 1970 წლის ბრაზილიის ნაკრებზე, რომელიც, საერთოდ, უველა დროის დიდი ფეხბურთის ეტალონად შეიძლება მივიჩნიოთ. ისე კი, ფეხბურთს მრავალი ასპექტი აქვს, იგი იხვეწება, ვითარდება, რთული ხდება, წინ მიდის და სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. მაშინ ხომ თამაშსაც არ ექნებოდა აზრი.

• • •

ს უ რ ა თ ზე: ეუსებიო (მარცხნივ) ლ. იაშინისადმი მიძღვნილ მატჩში მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე. მარჯვნივ — თბილისელი ა. ჩივაძე.

სერგეი ლოგანოვის („ფუტბოლ-ხოკეი“) ფოტო.

ლიდერთა ჯგუფი იზრდება

უკვე ნახევარმა შეჯიბრებამ გაიარა და მსოფლიო თასის პირველი გათამაშების VI ეტაპზე არა თუ მცირდება ლიდერთა ჯგუფი, პირიქით, იზრდება.

რვა ტურის შემდეგ გათამაშების უკეთე ხუთი დიდოსტატი უდგას სათავეში: გარი კასპაროვი, იან ელვესტი, ვალერი სალოვი, ანატოლი კარპოვი (ყველა — სსრ კავშირი) და ლაიოშ პორტიში (უნგრეთი), რომელთაც 5-5 ქულა აქვთ. მათ ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ნაიჯელ შორტი (ინგლისი) და ულფ ანდერსონი (ისლანდია). 4 ქულა მოაგროვა დასავლეთგერმანელმა რობერტ ჰიუბნერმა. შემდეგ მოდიან: ზოლტან რიბლი (უნგრეთი) — 3,5 ქულა, პრედრაგ ნიკოლიჩი (იუგოსლავია) — 3(2), მიხეილ ტალი (სსრ კავშირი) — 3(1), ჯონ ნანი (ინგლისი), დიულა საქსი (უნგრეთი), რაფაელ ვაჰანიანი (სსრ კავშირი) — 3-3, იასერ სეირავანი (აშშ) — 2,5(2), ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია) — 2(1).

VI-VIII ტურების ტექნიკური შედეგები:

VI ტური: კარპოვი-ელვესტი 1:0, ჰიუბნერი — ნანი 1:0, საქსი-კასპაროვი 0,5:0,5, კორჩნოი — ვაჰანიანი 1:0, ანდერსონი — სალოვი 0,5:0,5, ტალი — რიბლი 0,5:0,5, შორტი — პორტიში 0,5:0,5. გადაიდო ნიკოლიჩ-სეირავანის პარტია;
VII ტური: სალოვი — საქსი 1:0, ელვესტი — ჰიუბნერი 1:0, კასპაროვი — ტალი 0,5:0,5, ვაჰანიანი — კარპოვი 0,5:0,5, პორტიში — ანდერსონი 0,5:0,5, ნანი — შორტი 0,5:0,5, რიბლი — ნიკოლიჩი 0,5:0,5. გადაიდო სეირავან — კორჩნოის შეხვედრა;
VIII ტური: კარპოვი — სეირავანი 1:0, კასპაროვი — სალოვი 0,5:0,5, საქსი — პორტიში 0:1, შორტი — ელვესტი 0,5:0,5, ანდერსონი — ნანი 1:0, კორჩნოი — რიბლი 0,5:0,5, ჰიუბნერი — ვაჰანიანი 0,5:0,5. ტალის ავადმყოფობის გამო მისი პარტია ნიკოლიჩთან გადატანილია. V ტურში ელვესტმა დაამარცხა კორჩნოი.

ჩელენჯერი - მკითხველი



ბონი. საბჭოთა წყალში მხტომელმა ქალებმა (3-მეტრიანი ტრამპლინი) ევროპის ჩემპიონატის ორი მედალი მოიპოვეს. ოქროს მედალი დაიმსახურა მარინა ბაბკოვამ (514,23 ქულა), ბრინჯაოსი კი სვეტლანა ალექსეევამ (486,09). მეორე ადგილზე გავიდა ბრიტა ბაილდუსი (გდრ) — 510,72 ქულა.

ცინცინატი. საკმაოდ წარმომადგენლობით ტურნირში მეტოქეებს ტოლი არ დაუდო ამერიკელმა ჩოგბურთელმა ბრეტ ჯილბერტმა, რომელმაც ჯერ მერვედფინალში თანამემამულე მაიკლ ჩანგს დააყრევინა ფარ-ხმალი, ნახევარფინალში კი თვით უიმბლდონის ტურნირის სამგზის გამარჯვებულ ბორის ბეკერს (გფრ) სძლია. მას არც ფინალში შეურცხვენია თავი და დაამარცხა მსოფლიოს მესამე ჩოგანი სტეფან ედბერგი (შვეცია) — 6:4, 2:6, 7:6.

მანჩაჯი (აშშ). მსოფლიოს ქალთა პირველ ჩოგანს შტეფი გრაფს ტოლი არ ჰყავდა აქ დამთავრებულ ტურნირში, რომლის ფინალში მან სძლია უნგრელ ანდრეა ტემეშვარის — 7:5, 6:2. ეს მისი 62-ე გამარჯვებაა წელს 64 შეხვედრიდან.

„სპორტპროგნოზი"

34-ე ტირაჟის შედეგები

(19-21 აგვისტო)

1—X, 2—1, 3—1, 4—2, 5—X, 6—X, 7—1, 8—1, 9—X, 10—1, 11—X, 12—2, 13—1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

სპორტისთვის ფიზკულტურით

ფიზკულტურა

ჭადრაკი

I ტური. „ჩაპელი" — „ჰონვედი" 0:0, „ფერენცვაროში" — „მტკ" 4:0, „ბეკეჩაბა" — „სომბათჰეი" 2:1, „ვაკე" — „პეჩი" 2:2, სიოფოკი" — „რაბა ეტო" 1:0, „დოჟა" — „ტატაბანია" 1:0, „ვიდეოტონი" — „ვესპრემი" 1:0, „დებრეცენი" — „ვაშაში" 1:0.

ავსტრია

VI ტური. „ზალცბურგი" — „შტეირი" 1:1, „აუსტრია" — „რაპიდი" 1:4, „კრემსერი" — „შტურმი" 1:1, „ტიროლი" — „ვინერ სკ" 3:1, „გრაცერი" — „ადმირა" 4:4, „ვიენა" — „სენტ პოლტენი" 4:0.

„ტიროლი"	6	13-7	9
„აუსტრია"	6	12-7	9
„რაპიდი"	6	15-11	7

საფრანგეთი

V ტური. „ლილი" — „ბორდო" 0:1, „ტულუზა" — „ნანტი" 1:1, „ნიცა" — „მარსელი" 1:1, „სენტ ეტიენი" — „სენ ჟერმენი" 1:2, „კაენი" — „მონაკო" 1:1, „ტულონი" — „ბრესტი" 2:0, „მეცი" — „ლიონი" 2:3, „რესინგი" — „მულუზი" 2:1, „სოშო" — „კანი" 3:0, „მონპელიე" — „ოსერი" 1:0.

„ბორდო"	5	8-1	9
„ნანტი"	5	10-5	7
„მარსელი"	5	9-5	7

იუგოსლავია

III ტური. „ბანია ლუკა" — „მოსტარი" 1:0, „რიეკა" — „ნიში" 2:0, „ტიტოგრადი" — „პარტიზანი" 2:0, „სარაევო" — „ჰაიდუკი" 1:0, „რადნიჩკი" — „ოსიეკი" 1:0, „ლიუბლიანა" — „ჟელეზნიჩარი" 3:0, „ცრვენა ზვეზდა" — „ვარდარი" 5:2, „დინამო" (ზაგრები) — „ვოივოდინა" 2:0, „სუბოტიცა" — „ტუზლა" 0:1.

„რიეკა"	3	6
„ზაგრები"	3	5
„ცრვენა ზვეზდა"	3	4

(საკ. კორ.).

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.



25-26-27 აგვისტოს სპორტის სასახლეში ჩატარდება ბალტიისპირეთის პოპულარული, როკ-ჯგუფ „რონდოს" და სტუდია „ეკტ 20-20" კონცერტები.

დასაწყისი 20 საათზე.

მსოფლიო ჩემპიონატი სამხრეთ ამერიკა

ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა პრაქტიკულად გაიანადგეს 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება სამხრეთ ამერიკის III შესარჩევ ჯგუფში.

მათ სან-პაულუში მიიღეს ვენესუელის გუნდი და ორ გამარჯვებას მიაღწიეს 6:0 (4:0), ამასთან 4 ბურთი გაიტანა ცნობილმა თავდამსხმელმა კარეკამ. გამარჯვებულებს შესარჩევი ჯგუფის ბოლო შეხვედრა საკუთარ მინდორზე აქვთ ჩილის წარჩევებთან.

სატურნირო მდგომარეობა

	თ	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ბრაზილია	3	2	1	0	11-1	5
ჩილი	2	1	1	0	4-2	3
ვენესუელა	3	0	0	3	1-13	0

ცოტა არასპორტულ თემაზე

● **იტალიაში** ინერგება სიახლე — ელექტრონული ძიძა. აკვანზე დამონტაჟებული ხელსაწყო უმალვე რეაგირებს ბავშვის ტირილზე — იწყებს რწევას, რაც ჩვილის გაჩუმებისთანავე ავტომატურად წყდება.

● **მსოფლიოს** ყველა ჯადოქარი შეიკრიბა ჩეხოსლოვაკიის საკურორტო ქალაქ კარლოვი-ვარში, სადაც ჩატარდა ჯადოქართა მსოფლიო ფესტივალი. თავის ხელოვნება უჩვენა ასზე მეტმა პროფესიონალმა.

● **ინგლისელმა** ჯერი ჰარლეიმ დაამყარა თავისებური რეკორდი — ერთი საათის განმავლობაში მან წვერი გაპარსა 987 მამაკაცს.

● **შვეიცარიის** ავიაკომპანია „სუისერმა" დანერგა სიახლე — ვიდრე თვითმფრინავი მიწაზეა, მგზავრს შეუძლია თვითმფრინავის სალონიდან რადიოტელეფონით დარეკოს შინ ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში და გაათრთხილოს ოჯახის წევრები ფრენის შეფერხების თაობაზე.

● **ტოკიოს** ერთ-ერთ ზოოპარკში გაიხსნა „მიწისძვრის წინასწარმეტყველთა" კუთხე. მეცნიერთა რეკომენდაციით აქ თავი მოუყარეს იმ ფრინველებს და ცხოველებს, რომელთა ქცევის მიხედვით შეიძლება მიწისძვრის წინასწარ გამოცნობა. „წინასწარმეტყველები" მთელი დღის განმავლობაში მომსახურე პერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ არიან.

● **ფილადელფიელებს** შეუძლიათ ერთმანეთს მიულოცონ — ამერიკიდან მათაც ექნებათ საკუთარი ჰიმნი, რომელიც იტალიელმა კომპოზიტორმა აუგუსტო მასასიმ შექმნა.

მამაკაცის ამერიკული იდეალი

ჯო დი მაჯიოდან პოლ ნიუმენამდე

ერნესტ ჰემინგუეის შედევრში „მოხუცი და ზღვა" არის ასეთი დიალოგი:

„როცა დავბრუნდები, კეტბურთის ამბავს მომიყვები", — სთხოვს მოხუცს ბიჭი. „არ შეიძლება „იანკებმა" წაგონ", — ეუბნება მოხუცი.

— „ვაითუ, კლივლენდელმა „ინდიელებმა" დაჯაბნონ.

— ნუ გეშინია, შვილო. გაიხსენე დიდი დი მაჯიო".

ამ მოკლე ნაწყვეტიდან კარგად ჩანს ჯო დი მაჯიოს უსაზღვრო პოპულარობა იმდროინდელ ამერიკაში. სწორედ ამ სახელოვან კეტბურთელთან არის დაკავშირებული ის მკვეთრი ცვლილება, რომელიც მამაკაცის ამერიკულმა იდეალმა განიცადა ორმოცდაათიან წლებში. დაემხო ბევრი ძველი კერპი — განაზებული და გაპრანჭული კინომსახიობები, რომლებიც თავის თავზე შეყვარებულ ნარცისებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ნამდვილ ვაჟკაცებს. მათი ადგილი, კალათბურთის, ამერიკული ფეხბურთის, კეტბურთის, გოლფისა და ჰოკეის პროფესიულ ლიგათა მოთამაშეებმა დაიკავეს.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ჯო დი მაჯიოს სულ უფრო ხშირად ხედავდნენ ამერიკის უპოპულარეს კინომსახიობ მერლინ მონროსთან ერთად. ორი „ვარსკვლავის" რომანმა პირდაპირ გამოგვიბედა შთაბეჭდილება მოახდინა პუბლიკაზე...

დღეს ბევრი რესტორანი და ღამის ბარი ცდილობს, მდიდარი, მოწყენილი და, მაშასადამე, გართობის მაძიებელი ქალები სახელგანთქმულ სპორტსმენთა მეშვეობით მიიზიდოს. ნიუ-იორკის ერთ-ერთი ფეშენებელური ბარის მეპატრონე ამბობს: „ყოველ კვირა საღამოს ჩემს ბარში მხოლოდ იმიტომ მოდის დაახლოებით ასორმოცდაათი სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის ქალი, რომ ნახოს რომელიმე ცნობილი სპორტსმენი და, შესაძლოა, გამოელაპარაკოს კიდეც მას."

ზოგიერთი კალათბურთელი, მოკრივე და კეტბურთელი (ცხადია, მათ ვინაობას საგულდაგულოდ მალავენ) ხასეთი „სამსახურისთვის" დიდ თანხას იღებს. ამბობენ, რომ ამ ბიზნესის ნამდვილი მეფე იყო და არის ჯო ნამატი — ერთ-ერთი უველაზე განთქმული მოთამაშე ამერიკული ფეხბურთის ისტორიაში.

მამაკაცის იდეალის ამგვარმა ცვლილებამ, ბუნებრივია, შეცვალა ამერიკელ კინომსახიობთა ცხოვრების წესი. ახლა ბევრი მათგანი მისდევს სპორტის ამა თუ იმ სახეობას — ცხადია, სამოყვარულო დონეზე. და მაინც, არის ადამიანი, რომელიც ახერხებს ერთდროულად იყოს პროფესიონალი სპორტსმენიც და ამერიკის ერთ-ერთი უველაზე პოპულარული კინოვარსკვლავიც. მისი სახელია პოლ ნიუმენი.

დეტროიტის გზატკეცილზე თავისი „ნისანის-კენ" მიემართება ლურჯ კომბინეზონში გამოწყობილი პილოტი. მის ღიმილს კარგად იცნობს მილიონობით კინომოყვარული მსოფლიოს უველა ქვეყანაში. მიუხედავად ასაკისა, იგი არ ფიქრობს დასრულოს თავისი სპორტული კარიერა, რომლის მანძილზე ორჯერ იყო ეროვნული ჩემპიონატის პრიზიორი — 64 წლის პოლ ნიუმენი საათში 150 მილის სიჩქარით მიაქროლებს მანქანას და ეს აშკარა სიამოვნებას ანიჭებს.

სპორტში მან უეკლო გზით როდი იარა: მხოლოდ იმ შემთხვევის გახსენებაც კმარა, როცა თვალწინ დაეღუპა მეგობარი და თანაგუნდელი ჯიმ ფიტცჯერალდი. მაგრამ არც მაშინ გატყდა ნიუმენის ნებისყოფა და იგი („პლანტერსის" მექანიკოსების და ამ გუნდის ხელმძღვანელის ბობ შარპის ნათქვამს დავიმოწმებთ) ისევ და ისევ „თამაშობს" 1969 წელს ფილმ „იუნინგში" განსახიერებულ პილოტ-ავტომობილის როლს.

—შესაძლოა, მალე თვითონ დავწერო სცენარი და გადავიღო ფილმი ამ თემაზე, — ამბობს კინოვარსკვლავი, — მხოლოდ მსახიობობა აღარ მაკმაყოფილებს. საშინლად მომბეზრდა სუსტი სცენარების კითხვა. ჰოდა, იძულებული ვხდები, კინოდან „რეალობის პოლუსზე" გავიქცე და ნამდვილი ცხოვრება ავტომანქანის საჭესთან ვეძებო.

ძლიერ სპორტულ პიროვნებათა ხანა, რომელიც დიდმა დი მაჯიომ დაიწყო, კვლავ გრძელდება.

პუბლიკაცია მოამზადეს ზაზა კვერცხიშვილმა და კოკა გრეგვაძემ.



თბილისის 3. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი

(ა. წერეთლის გამზირი № 2)

26 აგვისტო • ფეხბურთი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

„დინამო" (თბილისი) — „პამირი" (დუშანბე)

დასაწყისი 20 საათზე

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 24, 25, 26 აგვისტოს 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათამდე), ხოლო ორგანიზაციებში — 25 აგვისტოს. 26 აგვისტოს 17 საათიდან ბილეთები გაიყიდება ა. წერეთლის გამზირის მხრიდან.

ლატარიის მე-13 ტირაჟისა და ფეხბურთის ბილეთები დათარიღებული 25 ივლისის №029 ინდექსით თბილისის „დინამოსა" და ვოლგოგრადის „როტორის" შორის, ძალაშია 26 აგვისტოს.

ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა მატჩის ჩატარება გამოცხადდება დამატებით.

„სპორტპროგნოზი"

ევროპის საფეხბურთო საკლუბო ტურნირების პირველ მატჩებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის პროგრამა
(18 ხელტემბერი)

ჩემპიონთა თასი (მეთექვსმეტედფინალი)

1. „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „ლინფილდი" (ჩრ. ირლანდია)
2. „რუხი" (პოლონეთი) — „სრედეცი" (ბულგარეთი)
3. „მალმიო" (შვეცია) — „ინტერი" (იტალია)
4. „გლაზგო რეინჯერსი" (შოტლანდია) — „ბავარია" (გფრ)
5. „ჰონვედი" (უნგრეთი) — „ვოივოდინა" (იუგოსლავია)

თასების ფლობელთა თასი (მეთექვსმეტედფინალი)

6. „ტორპედო" (მოსკოვი) — „კორკ სიტი" (ირლანდია)
7. „პარტიზანი" (იუგოსლავია) — „სელტიკი" (შოტლანდია)

უეფა-ს თასი (ოცდამეთორმეტედფინალი)

8. „ზენიტი" (ლენინგრადი) — „ნესტვედი" (დანია)
9. „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „გიოტებორგი" (შვეცია)
10. „ატალანტა" (იტალია) — „სპარტაკი" (მოსკოვი)
11. „დინამო" (კიევი) — მტკ (უნგრეთი)
12. „შტუტგარტი" (გფრ) — „ფეიენოორდი" (ჰოლანდია)
13. „ფიორენტინა" (იტალია) — „ატლეტიკო" (მადრიდი, ესპანეთი)

შენიშვნა: ტირაჟის ნომრის მიმანიშნებელ უჯრედებში უნდა ჩაიწეროს ორი ასო — „EK". შევსებული ბილეთები მიიღება „სპორტპროგნოზის" 37-ე ტირაჟის ბილეთებთან ერთად.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20

უე 00384